შპს ლ ი კ ა ს თ ა ნ

ს/კ 405 359 829

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ლიკასთან“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფორმა #1-ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	121204	98902	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	200550	134430	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	200550	134430	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	308519	309661	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	630273	542993	0

ხელმოწერა_____

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	46452	91528	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1200	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	41202	36700	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	88854	128228	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	414765	131000	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	283765	0
გადაფასების რეზერვი	126654	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	541419	414765	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	630273	542993	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	121204	117	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

ხელმოწერა _____

ფორმა #2-საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**	**31/12/2020**
ნეტო ამონაგები	3645298	2691047
საქონლის გაყიდვიდან	3645298	2691047
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1895009	-1686392
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1750289	1004655
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-284365	-142228
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-147132	-69274
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-290996	-135809
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-770141	-371387
სულ საოპერაციო ხარჯები	-1492634	-718698
საოპერაციო მოგება	257655	285957
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0

ხელმოწერა_____

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-546
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	257655	285411
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	257655	285411
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	257655	285411
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	414765	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-1646

ხელმოწერა_____

კაპიტალის სხვა ცვლილებები	-305064	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	541420	283765

ფორმა #3-ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	22302	98902
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	22302	98902
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	98902	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	121204	98902

ხელმოწერა_____

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს ლიკასთან
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1.ზოგადი ინფორმაცია:

შპს ლიკასთან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია 2019 წლის 25 ოქტომბერს (საიდენტიფიკაციო #405359829), იურიდიული მისამართია თბილისი ე.ტატიშვილის 36 ბ4 ხოლო ფაქტიური მისამართი: თბილისი, აბაშიძის 61. ორგანიზაციის დამფუძნებელია ლია ქათამაძე-100%.

საანგარიშო პერიოდი კომპანიისთვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 10712 კოდის მიხედვით განსაზღვრული არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება, კომპანია აწარმოებს საკონდიტრო ნაწარმის მრავალ სახეობას და საოჯახო სამზარეულოს სხვადასხვა კერძებს.

2,ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. თანხები შეფასებული და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

თანადართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ

ხელმოწერა_____

მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების , მოგებისა და ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

ამონაგები. კომპანიის მთავარ ამონაგების წყაროს წარმოადგენს წარმოებული საკონდიტრო და კვების პროდუქტების რეალიზაცია. ამონაგები აღიარდება მაშინ, როცა მოხდება საქონლის მიწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა სხვას. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის, გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. საზოგადოება შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. აღნიშნული მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომელიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსაც.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მისი თვითღირებულებით, რაც მოიცავს ნასყიდობის ფასს, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას, ასევე მათი არსებითი ნაწილი გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში. კომპანიაში მარაგები ძირითადად დროებით სარგებლობაში გადაეცემა კლიენტებს.

ძირითადი საშუალებები აღიარებულია შეძენისა და დაგროვილი ამორტიზაციის შორის სხვაობით. დანახარჯები ძირითად საშუალებების მოვლა შენახვისა და რემონტზე, რომლითაც არ

ხელმოწერა_____

იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. ხოლო ის დანახარჯები რომლებიც გაიწევა ძირითად საშუალებების რეკონსტრუქციაზე, განახლებაზე და გადაიარაღებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალების ღირებულებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების გადანაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურეობის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

საწესდებო კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალიწინებით, გაუნაწილებელი მოგება კი მოიცას საანგარიშო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ნაღდიან უნაღდო ანგარიშსწორებით

სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის /მომსახურეობის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან დ ამომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

მომუშავეთა გასამრჯელო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურეობას, მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურეობისათვის

დივიდენდის ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე

ხელმოწერა_____

გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებისა და ნორმების შესაბამისად

ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობათა შესაფასებლად, მათი საიმედობისა და დროულობის დასადგენად, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, გარკვეული სახის ინფორმაციაა საჭირო, ამ ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება საწარმოს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები, გაანაწილოს მოგება მფლობელთა შორის. სწორედ ასეთი სახის ინფორმაცია იყრის თავს ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში,

არამატერიალური აქტივებს კომპანიაში წარმოადგენს ბუღალტრული პროგრამა. და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადების შესაბამისად.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. მიღებული სესხები ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების ღირებულებით და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო ხარჯი აღიარდება საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს განახარჯები იყო გაწეული.

შპს ლიკასთან ს/კ 405359829

დირექტორი ია ქათამაშვილი

ხელმოწერა